სსდ საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ალ. ყაზბეგის გამზ. N12
0160, თბილისი, საქართველო
+995 32 2 370 508
info@georoad.ge

23 იანვარი 2024

MRDI-RD N 2-08/712

„მწვანე ალტერნატივას“
აღმასრულებელ დირექტორს
ბატონ დავით ჭიპაშვილს
ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org
ტელ.: (+99532) 2223874

ბატონო დავით,

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში (შემდგომში - „დეპარტამენტი“) მიმდინარე წლის 6 დეკემბერს შემოვიდა თქვენი N23/10-78 წერილი (დეპარტამენტში რეგისტრაციის N39712/2), რომელიც ეხება რიკოთის მონაკვეთის მშენებლობას.

აღსანიშნავია, რომ დეპარტამენტის 2-08/19002 წერილი პასუხობდა მხოლოდ ხევი-უბისასა (F2) და შორაპანი-არგვეთას (F4) მონაკვეთებს, ვინაიდან თქვენს წერილში, რომელიც გადაიგზავნა აზიის განვითარების ბანკში საუბარი იყო მხოლოდ აღნიშნული მონაკვეთებზე. 2023 წლის 6 დეკემბერს წარმოდგენილ წერილში თქვენი კითხვები ეხება რიკოთის ოთხივე მონაკვეთს. პირველ რიგში აღვნიშნავთ, რომ ოთხივე მონაკვეთის ფარგლებში პროექტის დაწყებამდე მომზადებულია გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი და დეტალური საპროექტო დოკუმენტაცია. შესაბამისად ოთხივე მონაკვეთის მშენებლობა მიმდინარეობს აღნიშნული დოკუმენტებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით. ამასთან, რიკოთის ოთხი მონაკვეთიდან ორი მონაკვეთი, ხევი-უბისა (F2) და უბისა-შორაპანი (F3), ჯამურად 27 კმ, გახსნილია საგზაო მოძრაობისათვის 2023 წლის ოქტომბრის ბოლოდან და ამ მონაკვეთებზე ამჟამად მიმდინარეობს რეკულტივაციის სამუშაოები.

რაც შეეხება თქვენს წერილში დასმულ კითხვებს გაცნობებთ, რომ:

1. საერთაშორისო მნიშვნელობის აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის (E-60) ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის მოდერნიზებისა და ექსპლუატაციის პროექტის გზშ-ის ანგარიშისა და ამავე პროექტის ფარგლებში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (მინისტრის ბრძანება №2-918; 14.11.2018) მიხედვით, ჩუმათელეთი-ხევის (F1) გზის მონაკვეთის დერეფანი განთავსებულია მდინარე რიკოთულას გასწვრივ და კვეთს მას 6 წერტილში. მდინარის კალაპოტში, ხიდების ბურჯების მოწყობა/რეაბილიტაცია პრაქტიკულად შეუძლებელია მდინარეში დროებითი წყალამრიდი ღონისძიებების განხორციელების გარეშე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩუმათელეთი-ხევის (F1) გზის მონაკვეთის მშენებლობის მიმდინარეობისას, მდინარე რიკოთულას კალაპოტში, ხიდების სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე, დროებითი საინჟინრო ბარიერები (წყალამრიდი) მოეწყო პროექტის მიხედვით. დროებითი ბარიერების მოწყობისას გათვალისწინებულია როგორც მდინარე რიკოთულას, ასევე მისი შენაკადების (ხევების)

მაქსიმალური ხარჯები და კალაპოტის გარეცხვის სიღრმეები, რომლის შესახებ ინფორმაცია მოცემულია გზშ-ის ანგარიშში (თავი 6.5. და 13,12 (დანართი 12)).

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ხიდების მშენებლობის ეტაპზე, მდინარის კალაპოტის ფორმირება დროებითი და ამავე დროს აუცილებელი ღონისძიებაა. ხიდების მშენებლობის პარალელურად მიმდინარეობს მდინარის კალაპოტში მოწყობილი დროებითი ბარიერების დემონტაჟი. მშენებლობის დასრულების შემდეგ, ყველა დროებითი საინჟინრო ნაგებობა დაექვემდებარება დემონტაჟს.

ამასთან, დღეის მდგომარეობით იმ მონაკვეთებზე, სადაც დასრულებულია სამშენებლო სამუშაოები, მიმდინარეობს მდინარის კალაპოტის წმენდა და შესაბამისი დამცავი ნაგებობების მოწყობა, რომელიც გათვალისწინებულია პროექტით.

- ჩუმათელეთი-ხევის (F1) მონაკვეთზე, მდინარე რიკოთულა ვიწრო კალაპოტში მოედინება, რომლის გასწვრივ არსებული სენსიტიური უბნების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია გზშ-ის ანგარიშში გეოლოგიურ რუკაზე (თავი 13.11 (დანართი 11). აღნიშნულ უბნებზე, მდინარე რიკოთულას მაქსიმალური ხარჯების გათვალისწინებით, ამავე ანგარიშის თანახმად, მდინარე რიკოთულას ეროზიული ქმედების შემცირების, ასევე წყალმოვარდნების თავიდან აცილების მიზნით, მოწყობილია ყრილები და ნაპირდაცვითი ნაგებობები. ამასთან, კონტრაქტორი და სამშენებლო სამუშაოებზე ზედამხედველი კომპანია, მონიტორინგს უწევს როგორც მდინარეების კალაპოტს, ასევე მდინარეების კალაპოტებში მოწყობილ საინჟინრო ნაგებობებს (ხიდების ბურჯები, დროებითი ხიდები და წყალგამტარები, ნაპირსამაგრები, დროებითი ბარიერები და ა.შ.).
- დღეის მდგომარეობით, ხევი-უბისას (F2) პროექტის ფარგლებში მდინარე ძირულა არ არის შევიწროებული. პროექტის ფარგლებში ხიდების სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას, მდინარის კალაპოტის ფორმირება წარმოადგენდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტით (შემდგომში - „გზშ“) განსაზღვრულ დროებით საინჟინრო ღონისძიებას. მშენებლობის დასრულების შემდეგ, განხორციელდა ყველა დროებითი საინჟინრო ბარიერის დემონტაჟი და აღდგენილ იქნა მდინარე ძირულას ბუნებრივი კალაპოტი. ამჟამად, ხევი-უბისას (F2) მონაკვეთზე მიმდინარეობს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ტერიტორიების აღდგენის/რეკულტივაციის სამუშაოები.
- შორაპანი-არგვეთას მონაკვეთის (F4) ფარგლებში, 4 ხიდი კვეთს მდინარე ძირულას, მდინარე ყვირილას და მდინარე ბორიმელას. ხსენებული მონაკვეთის შემთხვევაშიც, დროებითი საინჟინრო ბარიერები მოეწყო პროექტის შესაბამისად, მდინარეების მაქსიმალური ხარჯების და კალაპოტის გარეცხვის სიღრმეების გათვალისწინებით, რომლის შესახებ ინფორმაცია მოცემულია აღნიშნული პროექტის გზშ-ის ანგარიშში (თავი 5.9). აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ F4-ის მონაკვეთის ფარგლებში მდინარეების - ძირულას, ყვირილასა და ბორიმელას კალაპოტები საკმაოდ ფართოა და მათ შევიწროებას ადგილი არ ჰქონია.

ამდენად, ყველა სამუშაო რომელიც ხორციელდება მდინარეებში გათვალისწინებულია გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტითა და პროექტით.

2. თქვენ მიერ აზიის განვითარების ბანკში წარდგენილი წერილი მიწის ჩაწევასთან დაკავშირებით ეხებოდა მხოლოდ შორაპანი-არგვეთას (F4) მონაკვეთს, შესაბამისად, პასუხი გაგეცათ მხოლოდ აღნიშნული მონაკვეთის ფარგლებში დეპარტამენტის N2-08/19002 წერილით. რაც შეეხება თქვენს 2023 წლის 6 დეკემბრის წერილში დასმულ საკითხს, მიწის ჩაწევასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ჩუმათელეთი-ხევის (F1) პროექტის ფარგლებში აღნიშნულ ფაქტს ადგილი არ ჰქონია, ხოლო ხევი-უბისას (F2) და უბისა- შორაპანს (F3) პროექტების ფარგლებში დაფიქსირდა რამდენიმე ფაქტი და გატარდა შესაბამისი აღდგენითი ღონისძიებები.

3. თითოეული პროექტის შემუშავებისა და განხორციელების საწყის ეტაპზე, განსახლების სამოქმედო გეგმისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის მომზადების პროცესში, ჩატარდა ფართო მასშტაბის საჯარო შეხვედრები. ეს შეხვედრები ემსახურებოდა საზოგადოებაში ინფორმაციის გავრცელებას განსახორციელებელი პროექტის შესახებ, მათ შორის პროექტის მიზნებისა და მასშტაბის, მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების უფლებების, კომპენსაციის უფლებამოსილების, საჩივრების განხილვის მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ და პროექტის განხორციელებაში

ადგილობრივი ხელისუფლების, მაცხოვრებლების და პოტენციური ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანებისა და ზემოქმედების ქვეშ მყოფი ოჯახების ჩართულობის უზრუნველყოფას.

განსახლების სამოქმედო გეგმისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის გაცნობასთან დაკავშირებული ფართო მასშტაბის შეხვედრის ოქმები თანდართულია ხსენებულ დოკუმენტებზე, რომლებიც გამოქვეყნებულია დეპარტამენტის ვებ- გვერდებზე.

უშუალოდ მშენებლობის მიმდინარეობისას, პროექტების პირდაპირი და ირიბი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მოსახლეობასთან, ასევე დაინტერესებულ პირებთან ჩატარდა/ტარდება მცირე ჯგუფური და ინდივიდუალური შეხვედრები. განსახილველი თემები განისაზღვრება სატელეფონო ინტერვიუების, საჩივრების ანალიზისა და პროექტის ადგილზე ვიზიტის დასკვნების საფუძველზე. შეხვედრები ძირითადად მოიცავს კითხვა-პასუხის რეჟიმს, რომელიც ეხებოდა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ პროექტის განხორციელების ეტაპზე წამოჭრილ სხვადასხვა სოციალურ საკითხებს, როგორიც არის ზემოქმედება ქონებაზე სამშენებლო სამუშაოებიდან გამომდინარე, საკომპენსაციო თანხები, პროექტის მიმდინარეობა, მოსახლეობისათვის დამატებითი სოციალური სარგებლის განხილვა, ადგილობრივი გზები, მისასვლელი გზები, დამატებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა, საინფორმაციო კამპანიები, ტრენინგები და ა.შ. ოთხივე პროექტის ფარგლებში პროექტების დაწყებიდან დღემდე ჯგუფებთან და ინდივიდუალურად ჩატარდა დაახლოებით 310 შეხვედრა, ხოლო აქედან 2023 წლის მანძილზე ჩატარდა 78 შეხვედრა.

ამასთან, როგორც N2-08/19002 წერილით გეცნობათ, მითითებული პროექტების ფარგლებში როგორც კონტრაქტორს, ასევე ზედამხედველს ჰყავს სოციალურ საკითხთა სპეციალისტები, რომელთა საკონტაქტო ინფორმაცია არის საჯარო. ასევე, დეპარტამენტის წარმომადგენლების საკონტაქტო ინფორმაციაც საჯაროდ ხელმისაწვდომია და მოსახლეობას მუდმივი კომუნიკაცია აქვთ მათთან როგორც სატელეფონო საშუალებით, ასევე შეხვედრების ფორმატში.

ამდენად, დეპარტამენტი ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად მუდმივი კომუნიკაცია აქვს მოსახლეობასთან და აწვდის მათ შესაბამის ინფორმაციას.

პატივისცემით,

სალომე წურწუმია

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

სსდ საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ალ. ყაზბეგის გამზ. N12
0160, თბილისი, საქართველო
+995 32 2 370 508
info@georoad.ge

07 მარტი 2024

MRDI-RD N 2-15/3016

მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს ბატონ დავით ჭიპაშვილს
მის: თბილისი, ფალიაშვილის №39ბ, მე-4 სართული
ტელ: (+995 32) 2 22 38 74

ბატონო დავით,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში (შემდგომში - დეპარტამენტი) 2024 წლის 20 თებერვალს შემოვიდა თქვენი №24/10-95 წერილი (დეპარტამენტში რეგისტრაციის №4578/2) (შემდგომში - წერილი), რომლითაც ითხოვთ საჯარო ინფორმაციის მიწოდებას.

დეპარტამენტმა განიხილა თქვენი განცხადება და კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ E-60 აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის F1 (ჩუმათელეთი-ხევი), F2 (ხევი-უბისა), F3 (უბისა-შორაპანი) და F4 (შორაპანი-არგვეთა) გარემოზე ზემოქმედების ანგარიშები შეგიძლია იხილოთ დეპარტამენტის ვებ-გვერდზე - http://www.georoad.ge/. აღსანიშნავია, რომ თითოეული ანგარიში მოიცავს ინფორმაციას ჰიდროლოგიის შესახებ, კერძოდ:

E-60 აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის F1 (ჩუმათელეთი-ხევი) მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის მე-6 თავის „საპროექტო დერეფნის ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა - ფონური მახასიათებლები, საველე კვლევის შედეგები“-ს **6.4 ქვეთავი** - ჰიდროლოგია“ (გთხოვთ იხილოთ გვ.162);

E-60 აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის F2 (ხევი-უბისა) მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის მე-5 თავის „ბუნებრივი და სოციალური გარემოს ფონური მდგომარეობა“ **5.9 ქვეთავი** - ჰიდროლოგია“ (გთხოვთ იხილოთ გვ.69);

E-60 აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის F3 (უბისა-შორაპანი) მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის მე-5 თავის „ბუნებრივი და სოციალური გარემოს ფონური მდგომარეობა“ **5.9**. **ქვეთავი** - ჰიდროლოგია“ (გთხოვთ იხილოთ გვ.68);

E-60 აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის F4 (შორაპანი-არგვეთა) მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის მე-5 თავის „ბუნებრივი და სოციალური გარემოს ფონური მდგომარეობა“ **5.9. ქვეთავი** - ჰიდროლოგია“ (გთხოვთ იხილოთ გვ.119)

ამასთან, დამატებით დანართის სახით გიგზავნით F1 (ჩუმათელეთი-ხევი)-ის საპროექტო დოკუმენტაციას (2018 წლის ნოემბერიდან ამ ბმულზე -

https://tenders.procurement.gov.ge/public/?go=283346&lang=ge განთავსებულია ყველა დოკუმენტი მათ შორის ჰიდროლოგიური ანგარიშები). ხოლო, რაც შეეხება F2 (ხევი-უბისა), F3 (უბისა-შორაპანი) და F4 (შორაპანი-არგვეთა) მონაკვეთებს, გიგზავნით ბმულებს სადაც მოცემულია სრული საპროექტო დოკუმენტაცია, მათ შორის ჰიდროლოგიური ანგარიშები.

https://drive.google.com/drive/folders/1b1lMJcU8A25Wdn1M9WsOliuvuu-AiK5S?usp=drive_link
https://drive.google.com/drive/folders/1GFHTrlv5RbbdtbN3zG1Svpkz2To07FpM?usp=drive_link
https://drive.google.com/drive/folders/1IJ7wVjLQa1DCPj0EZA3vTBpBnfiY46qu?usp=drive_link

პატივისცემით,

ფიქრია კვერნაძე

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი

იურიდიული სამსახური

სსდ გარემოსდაცვითი
ზედამხედველობის
დეპარტამენტი

ვლადიმერ წითლანაძის I შესახვევი N1
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 72 02 69
info@des.gov.ge

06/03/2024

DES 4 24 00015381

ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" აღმასრულებელ დირექტორს
ბატონ დავით ჭიპაშვილს

მის: ქ. თბილისი, ფალიაშვილის №39 ბ, IV სართული
ტელ: 0322223874
ელ. ფოსტა: greenalt@greenalt.org

ბატონო დავით,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე (153) 2024 წლის 14 თებერვალს შემოსული №DES22400009511 სატელეფონო შეტყობინების, 2024 წლის 20 თებერვლის №24/10-94, 2024 წლის 22 იანვრის №24/10-88 და 2023 წლის 26 დეკემბრის №23/10-83 წერილების პასუხად, რომელიც ეხება აღმოსავლეთ-დასავლეთის E-60 ავტომაგისტრალის (F1) მონაკვეთის, სოფ. ხევის საშუალო სკოლისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ პრობლემებს, გაცნობებთ, რომ დეპარტამენტში დაწყებულია საკითხის შესწავლა გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. ამასთან, შესწავლის დასრულებისა და შედეგების შესახებ, ინფორმაციას გაცნობებთ დამატებით.

აქვე დამატებით წარმოგიდგენთ ინფორმაციას, ბოლო 2 წლის განმავლობაში, მითითებულ ტერიტორიაზე დეპარტამენტის მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევებისა და გატარებული რეაგირების შესახებ:

2022 წელი

1. (F1) გზის მონაკვეთზე სამუშაოების წარმოებისას უცხოური საწარმოს ფილიალის "ჩინეთის სახელმწიფო შპს სამშენებლო საინჟინრო კორპორაციის საქართველოს ფილიალი"-ს **(ს/კ 426539 178)** მიმართ გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებზე შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები:

1) ოქმი **N073290,** ასკ 77-ე მუხლის პირველი ნაწილის და 82^2 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად;

2) ოქმი **N073314,** ასკ 57^1 მუხლის შესაბამისად, გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობამ შეადგინა **714.88 ლარი;**

3) ოქმი **N073313**, ასკ 58-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მდ. ძირულას დაბინძურებით გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობამ შეადგინა -**174.10 ლარი;**

4) მდ. რიკოთულას სანაპიროზე, ხუთ უბანზე იდენტიფიცირებული სამშენებლო, ინერტული და საწარმოო ნარჩენების უკანონო განთავსების ფაქტზე შედგა ოქმი **N073316,** ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ემუხლის 8 ნაწილის, 32-ე მუხლის 4 ნაწილის, 34-ე მუხლის პირველი

ნაწილის, 35-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 36-ე მუხლის 2 ნაწილის შესაბამისად. საქმის მასალები განსახილველად გადაეგზავნა ხარაგაულის მაგისტრატ სასამართლოს, და სასამართლომ კომპანია სცნო სამართალდამრღვევად და დააკისრა სახდელი **30 000** ლარის ოდენობით.

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის, სოფ. ხევში მცხოვრები მოქალაქის, ნუგზარ ტაბატაძის განცხადების საფუძველზე, 2022 წელს დეპარტამენტის უფლებამოსილი პირების მიერ, განხორციელდა სოფელ ხევის საშუალო სკოლისა და მდ. ჭიხურას მიმდებარე ტერიტორიების დათვალიერება/შესწავლა. განხორციელებული ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ მოქ. გიორგი გუდაძის მიერ, ავტომაგისტრალის F-1, ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების შედეგად, წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები (ფუჭი ქანი) დაყრილი იყო სამ ნაკვეთზე. კერძოდ, ორი ნაკვეთი წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიას, ხოლო ერთი მოქალაქე გიორგი გუდაძის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიას.

გამოვლენილ სამართალდარღვევის ფაქტზე, მოქალაქე გ. გუდაძის მიმართ ნარჩენების მართვის კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №070914 ოქმი. ხარაგაულის მაგისტრატ სასამართლოს 2022 წლის 1 ივლისის №4/70-2022 წლის დადგენილებით, მოქალაქე გ. გუდაძის მიმართ დაწყებული ადმინსიტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება შეწყდა.

2023 წელი

უცხოური საწარმოს ფილიალის "ჩინეთის სახელმწიფო შპს სამშენებლო საინჟინრო კორპორაციის საქართველოს ფილიალი"-ს **(ს/კ 426539178)** მიერ განხორციელებული სამუშაოებისას წარმოქმნილი ინერტული ნარჩენებით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ 488.28 კვ.მ ფართობზე (ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფ. საქასრია, მდ. ძირულას მიმდებარე ტერიტორია) დაყრის ფაქტზე, კომპანიის მიმართ 2023 წლის 20 სექტემბერს ნარჩენების მართვის კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად შეადგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №081656 ოქმი. სასამართლომ, 2023 წლის 21 დეკემბრის დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ნარჩენების მართვის კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით და დააკისრა ჯარიმა 30 000 ლარის ოდენობით.

პატივისცემით,

ლევან ჯღარკავა
დეპარტამენტის უფროსი

საქართველოს
სახალხო დამცველის აპარატი
OFFICE OF PUBLIC DEFENDER
OF GEORGIA

N 04-11/2374
06/03/2024

2374-04-11-2-202403061710

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის
უფროსს ბატონ ლევან ჯღარკავას

ბატონო ლევან,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მიმდინარეობს საქმისწარმოება ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“-ს #2333/24 განცხადების საფუძველზე.

აღნიშნულ მომართვაში საუბარია აღმოსავლეთ-დასავლეთის საავტომობილო გზის ჩუმათელეთი-ხევის (რიკოთის) მონაკვეთზე მიმდინარე ავტობანის მშენებლობის პროცესში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევში წარმოშობილ პრობლემებზე, რომლებიც მოქალაქეების, მათ შორის, ბავშვების უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლებას უკავშირდება.

როგორც განცხადებიდან ირკვევა, ორგანიზაციის წარმომადგენლები 2023 წლის ოქტომბერსა და დეკემბერში, ასევე, 2024 წლის იანვარსა და თებერვალში, იმყოფებოდნენ სოფელ ხევის ტერიტორიაზე მონიტორინგის მიზნით. განმცხადებლის განმარტებით, საავტომობილო გზის მშენებლობის პროცესში გარემოზე ზემოქმედებამ, კერძოდ, მდინარე რიკოთულას კალაპოტის შევიწროებამ და მეწყრული პროცესების გააქტიურებამ მოქალაქეებში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კითხვები გააჩინა; ამასთან, ადგილობრივები შეშფოთებულნი არიან მაგისტრალის შემადგენელი გვირაბების ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების დროს წარმოქმნილი ფუჭი ქანების სანაყაროს მშრალ ხევში განთავსების გამო. ამასთან, 2024 წლის 14 თებერვალს სოფელ ხევში მონიტორინგის დროს

მშრალ ხევში, სადაც განთავსებულია ფუჭი ქანების სანაყარო, ფერდებზე შეინიშნებოდა ცვლილებები, რაც შესაბამის შესწავლას საჭიროებს.

გარდა ამისა, განმცხადებლის მითითებით, სოფელ ხევის საჯარო სკოლა, სადაც ასევე განთავსებულია საბავშვო ბაღი, უშუალოდ ამ საფრთხეების გავლენის ქვეშ ექცევა. კერძოდ, შევიწროებული მდინარის კალაპოტის გვერდით და სანაყაროდ ქცეული მშრალი ხევის ფერდის ქვეშ, მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს აღნიშნული სკოლის შენობა. ამასთან, ამავე სკოლის ეზოს მიმდებარედ, მდინარის გასწვრივ, უსაფრთხოების ნორმების დარღვევით განთავსებულია ელექტროსადენი, რომელიც ნაწილობრივ სკოლის მიმდებარედ მდინარეშია ჩაშვებული.

როგორც განცხადებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, ორგანიზაციამ 2023 წლის 26 დეკემბერს #23/10-83 და 2024 წლის 22 იანვარს #24/10-88 წერილებით მიმართა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს, აცნობა ზემოაღნიშნული გარემოებების შესახებ და კომპეტენციის ფარგლებში რეაგირება ითხოვა. გარდა ამისა, 2024 წლის 14 თებერვალს, ორგანიზაციის წარმომადგენლები დეპარტამენტს დაუკავშირდნენ ცხელი ხაზის საშუალებით და შეატყობინეს ხევში განთავსებული ფუჭი ქანების სანაყაროს ქვემოთ ფერდზე შემჩნეული ცვლილებებისა და ელექტროსადენის შესახებ. განმცხადებელი განმარტავს, რომ აღნიშნულ მიმართვებს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მხრიდან რაიმე სახის რეაგირება არ მოჰყოლია.

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, გთხოვთ, ამავე კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ ვადაში გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია/დოკუმენტაცია:

1. რა რეაგირება განახორციელა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“-ს 2023 წლის 26 დეკემბრის #23/10-83 და 2024 წლის 22 იანვრის #24/10-88 წერილებთან, ასევე, 2024 წლის 14 თებერვალს ცხელ ხაზზე დაფიქსირებულ შეტყობინებასთან დაკავშირებით; გვაცნობეთ მომართვებში მითითებული გარემოებების შესწავლის შედეგები და მოგვაწოდეთ აღნიშნულის ამსახველი სრულყოფილი მასალების ასლები;

2. ამასთან, ეცნობა თუ არა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“-ს დასახელებული წერილებსა და ცხელი ხაზის შეტყობინებასთან დაკავშირებით, თქვენი უწყების მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე. გთხოვთ, ასევე, მოგვაწოდოთ აღნიშნულის ამსახველი კორესპონდენციის ასლები;

3. იმ შემთხვევაში თუ სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს არ განუხორციელებია რაიმე სახის რეაგირება ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“-ს 2023 წლის 26 დეკემბრის #23/10-83 და 2024 წლის 22 იანვრის #24/10-88 წერილებთან, ასევე, 2024 წლის 14 თებერვალს ცხელ ხაზზე დაფიქსირებულ შეტყობინებასთან

დაკავშირებით, განგვიმარტეთ აღნიშნულის მიზეზები და გვაცნობეთ იგეგმება თუ არა და როდის საპასუხო ღონისძიებების გატარება.

პატივისცემით,

ლიკა წიკლაური

დეპარტამენტის უფროსი (I რანგი; საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)

სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE • კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

დიმიტრი უზნაძის N52
0102 თბილისი, საქართველო
+995 32 2200 220
pr@mes.gov.ge

14/03/2024

MES 8 24 0000305045

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსს,
ბატონ ლევან ჯღარკავას

✓ ასლი: არასმთავრობო ორგანიზაციას "მწვანე ალტერნატივა"
მისამართი: ქალაქი თბილისი, ფალიაშვილის ქუჩა N39ᵇ, IV სართული
ტელეფონი: 32 222 38 74
ელ-ფოსტა: greenalt@greenalt.org

ასლი: დაბა ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრს

ბატონო ლევან,

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტში შემოვიდა "მწვანე ალტერნატივას" მიმდინარე წლის 23 თებერვლის N24/10-97 წერილი (სამინისტროსი რეგისტრაციის N211657,26.02.2024), რომელიც ეხება აღმოსავლეთ-დასავლეთის საავტომობილო გზის (ჩუმათელეთი-ხევის) მონაკვეთზე მდებარე სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევის საჯარო სკოლის ტერიტორიის შესაძლო საფრთხეებსა და პრობლემებს.

ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივის" წერილში ასახულია აღმოსავლეთ-დასავლეთის საავტომობილო მაგისტრალის ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთზე მდებარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევის საჯარო სკოლის წინაშე დამდგარი საფრთხეები. კერძოდ, სკოლის ტერიტორიის მიმდებარედ მდინარე რიკოთულას კალაპოტის შევიწროვების გამო სკოლის ტერიტორიის დატბორვის საფრთხე და სკოლის მიმდებარე მშრალ ხევში მოწყობილი სანაყაროს შესაძლო ჩამოშლით გამოწვეული საფრთხე.

აღნიშნული გარემოებები შეისწავლა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ, შესწავლის შედეგების შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საავტომობილო მაგისტრალის მშენებელმა ორგანიზაციამ საჭირო ზონებში განახორციელოს სკოლის ტერიტორიის დაცვა რ/ბ დამცავი კედლის მოწყობის გზით და სკოლის ტერიტორიის გასწვრივ მათ მიერ მოწყობილი დროებითი ღობის სანაცვლოდ მოაწყოს კაპიტალური ღობე.

ვინაიდან მაგისტრალის მშენებელი ორგანიზაციის მიერ აღნიშნული სამუშაოების შესრულების მოთხოვნა სცილდება სამინისტროს კომპეტენციას, მოგმართავთ თხოვნით, კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლოთ აღნიშნული საკითხი და დახმარება გაგვიწიოთ სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევის საჯარო სკოლის პრობლემების მოგვარებაში.

დანართი 2 (ორი) ფაილი.

პატივისცემით,

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო / სკოლამდელი და
ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
კალანდაძე ლალი

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

8 ა.პოლიტკოვსკაიას ქ.
0186 თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 2 93 27 32
tacsa@moesd.gov.ge

14 / მარტი / 2024 წ.

KA0201563603032 24

№ 04/377

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა"-ს
აღმასრულებელ დირექტორს,
ბატონ დავით ჭიპაშვილს

მის: ქ. თბილისი, ფალიაშვილის
ქ. N39ბ, მე-4 სართული

ბატონო დავით,

გაცნობებთ, რომ სააგენტოში შემოსული თქვენი 2024 წლის 28 თებერვლის N395 (N24/10-98 28.02.2024წ.) განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება E-60 ავტომაგისტრალის ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთზე მიმდინარე სამუშაოებს, კომპეტენციის ფარგლებში განსახილველად, სააგენტოს 2024 წლის 14 მარტის N04/362 წერილით გადაგზავნილ იქნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სსდ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი

გიორგი გეჯაძე

სსდ გარემოსდაცვითი
ზედამხედველობის
დეპარტამენტი

ვლადიმერ წითლანაძის I შესახვევი N1
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 72 02 69
info@des.gov.ge

10/04/2024

DES 2 24 00024523

ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" აღმასრულებელ დირექტორს
ბატონ დავით ჭიპაშვილს

მის: ქ. თბილისი, ფალიაშვილის №39 ბ, IV სართული
ტელ: 0322223874
ელ. ფოსტა: greenalt@greenalt.org

ბატონო დავით,

თქვენი 2024 წლის 02 აპრილის №24/10-100 წერილის პასუხად, სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში, წარმოგიდგენთ ინფორმაციას, 2022 წლიდან 2024 წლის მარტის ჩათვლით, აღმოსავლეთ-დასავლეთის E-60 მაგისტრალის ხევი-უბისას (F2), უბისა-შორაპანისა (F3) და შორაპანი-არგვეთას (F4) მონაკვეთებზე გამოვლენილი სამართალდარღვევებისა და გატარებული რეაგირების შესახებ:

1. სსიპ გარემოს ეროვნული საგენტოს წერილის საფუძველზე განხორციელდა ხარაგულის მუნიციპალიტეტში სოფ. ბორითში, მდ. ძირულას მარცხენა სანაპიროზე განთავსებული, ინერტული ნარჩენების სანაყაროს დათვალიერება/შესწავლა. დადგინდა, რომ E-60 მაგისტრალის (F2) მონაკვეთის (ბორითი - ხევის) სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის საქართველოს ფილიალი საქართველოში“ (ს/ნ 205368029). ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევების შემდეგი ფაქტები:

- კომპანიას, №11 გვირაბის მშენებლობის შედეგად წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები განთავსებული ჰქონდა 8010,5 მ^2 ფართობზე, რომელიც ზედდებაშია საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე და გამოვლინდა მიწის არამიზნობრივად გამოყენების ფაქტი;
- კომპანიას, სამშენებლო ან/და სხვა ინერტული ნარჩენები განთავსებული ჰქონდა 4516,2 მ^2 ფართობზე, რომელზეც საკუთრების უფლება არ არის რეგისტრირებული და წარმოადგენს მდინარის (ძირულას) წყალდაცვით ზოლს. შესაბამისად, გამოვლინდა წყალდაცვითი ზოლებისა და სანიტარული დაცვის ზონების კანონით დადგენილი რეჟიმის (სანაყაროს ძირი ერთ მხარეს ეხება მდინარე ძირულას სველ კალაპოტს) დარღვევა;
- კომპანიის მიერ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბორითში, 18 118 მ^3 ინერტული/სამშენებლო ნარჩენით დანაგვიანდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 4529,5 მ^2 ფართობის ტერიტორია.

გამოვლენილ დარღვევებზე, შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ, შპს „ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის საქართველოს ფილიალის“ მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №077497 ოქმი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 53^2 მუხლის, 60^3 მუხლის მეორე ნაწილის და ნარჩენების მართვის კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად. ოქმი, თანდართული მასალებით, განსახილველად გადაეგზავნა ხარაგაულის მაგისტრატ სასამართლოს. სასამართლოს 2023 წლის 27 ივლისის №4/87-2023 დადგენილებით, კომპანია ცნობილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და სახდელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა - 30 000 ლარი.

2. უცხოური საწარმოს ფილიალი "ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციის საქართველოს ფილიალი''- (ს/კ 205368396) უბისა-შორაპანის (F3) გზის მონაკვეთზე ახორციელებს სამშენებლო სამუშაოებს, რისთვისაც ამ მონაკვეთზე მოწყობილია ბეტონის საწარმო, არმატურის საამქრო და მუშა პერსონალის საცხოვრებელი ბანაკი.

ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა, რომ კომპანია ფუნციონირებდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების, კერძოდ, გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების, ნარჩენების მართვის კოდექსის და "წიაღის შესახებ'' საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევით. ასევე, როგორც აღებული საწარმოო ჩამდინარე წყლის ნიმუშის ლაბორატორიული კვლევით დადგინდა, ჩამდინარე წყალში დაფიქსირდა დამაბინძურებელი ნივთიერების - შეწონილი ნაწილაკების კანონმდებლობით დადგენილ ნორმაზე 13,05-ჯერ გადამეტების ფაქტი.

გამოვლენილ დარღვევებზე, უცხოური საწარმოს ფილიალი "ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციის საქართველოს ფილიალი''-ს მიმართ, გატარდა შემდეგი რეაგირება:

- შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №071071 ოქმი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 77-ე მუხლის პირველი ნაწილის, 82^2 მუხლის პირველი ნაწილის, 48-ე მუხლის შესაბამისად;
- შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №071069 ოქმი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57^1-ე მუხლის შესაბამისად;
- შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ № 071071 ოქმი, ნარჩენების მართვის კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის, 33-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 35-ე მუხლის 1 ნაწილის, 36-ე მუხლის 2 ნაწილის შესაბამისად.

ოქმები, თანდართული მასალებით, განსახილველად გადაეგზავნა ხარაგაულის მაგისტრატ სასამართლოს. სასამართლოს 2022 წლის 26 სექტემბრის №4/95-2022 დადგენილებით, კომპანია ცნობილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და სახდელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა - 10 000 ლარი.

კომპანიას ასევე წარედგინა დეპარტამენტის №000252 ადმინისტრაციული მიწერილობა, რომლის შესაბამისად შეეზღუდა საწარმოს ექსპლუატაცია გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრამდე.

ამასთან, ვინაიდან ჩამდინარე წყალში დამაბინძურებელი ნივთიერების (შეწონილი ნაწილაკები) შემცველობა 13,05 ჯერ აღემატებოდა დადგენილ ნორმას, ასევე შეესაბამებოდა "გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ მნიშვნელოვანი ზიანის კრიტერიუმს, სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების შემცველობის გამო, საქმის მასალები გადაეგზავნა დასავლეთის საოლქო პროკურატურას.

3. უცხოური საწარმოს ფილიალი "გუიჯოუ ჰაივეი ენჯინიარინგ გრუფ კო'' (ს/კ 405373750), ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაჭევის მიმდებარე ტერიტორიაზე (F4) მონაკვეთზე, ახორციელებს სამშენებლო სამუშაოებს, რისთვისაც მითითებულ ტერიტორიაზე მოწყობილია ბეტონის საწარმო, არმატურის საამქრო და საცხოვრებელი ბანაკი.

ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებისა და ნარჩენების მართვის კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევის ფაქტი, ასევე გამოვლინდა სასარგებლო წიაღისეულის (მიწისქვეშა მტკნარი წყლის) უკანონო მოპოვების ფაქტი.

გამოვლენილ დარღვევებზე, 2022 წლის 15 აგვისტოს, უცხოური საწარმოს ფილიალი "გუიჯოუ ჰაივე იენჯინიარინგ გრუფ კო''-ს მიმართ გატარდა შემდეგი რეაგირება:

- შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №073033 ოქმი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 77-ე მუხლის პირველი ნაწილის, 82^2 მუხლის პირველი ნაწილის, 57^1 მუხლის შესაბამისად;
- შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №073115 ოქმი, ნარჩენების მართვის კოდექსის 32-ე მუხლის მე-4-ე ნაწილის შესაბამისად.

ოქმები, თანდართული მასალებით, განსახილველად გადაეგზავნა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს. სასამართლოს 2022 წლის 06 ოქტომბრის №4/486-2022 დადგენილებით, კომპანია ცნობილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და სახდელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა - 1000 ლარი.

გარდა აღნიშნულისა, გამოვლინდა ზედაპირული წყლის ობიექტის დაბინძურების ფაქტი, კერძოდ, მდინარე ბორიმელაში ჩაედინებოდა ბეტონის საწარმოს ჩამდინარე წყალები და ჩატარებული ლაბორატორიული კვლევის შედეგად, ჩამდინარე წყალში დამაბინძურებელი ნივთიერებათა რაოდენობა ათჯერ და მეტად აღემატება დადგენილ ნორმას (1114 მგ/ლ).

ვინაიდან აღნიშნული შედეგი შეესაბამებოდა "გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ მნიშვნელოვანი ზიანის კრიტერიუმს, სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების შემცველობის გამო, საქმის მასალები გადაეგზავნა დასავლეთის საოლქო პროკურატურას.

ამასთან, კომპანიას წარედგინა დეპარტამენტის №003054 ადმინისტრაციული მიწერილობა, რომლის შესაბამისად, საწარმოს შეეზღუდა საქმიანობა, გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრამდე.

პატივისცემით,

ლევან ჯღარკავა
დეპარტამენტის უფროსი

სსდ გარემოსდაცვითი
ზედამხედველობის
დეპარტამენტი

ვლადიმერ წითლანაძის I შესახვევი N1
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 72 02 69
info@des.gov.ge

03/06/2024

DES 0 24 00036519

ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" აღმასრულებელ დირექტორს
ბატონ დავით ჭიპაშვილს

მის: ქ. თბილისი, ფალიაშვილის №39 ბ, IV სართული
ტელ: 0322223874
ელ. ფოსტა: greenalt@greenalt.org

ბატონო დავით,

თქვენი 2024 წლის 22 მარტის №24/10-99 წერილის პასუხად, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში, წარმოგიდგენთ ინფორმაციას, თქვენი 2023 წლის 26 დეკემბრის № 23/10-83 და 2024 წლის 22 იანვრის №24/10-88 წერილებში, ასევე, 2024 წლის 14 თებერვალს სამინისტროს ცხელ ხაზზე დაფიქსირებულ შეტყობინებასთან დაკავშირებით:

დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველოს უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, 2024 წლის 08 თებერვალს განხორციელდა ხევის საშუალო სკოლისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის დათვალიერება/შესწავლა.

ტერიტორიის დათვალიერების შედეგად დადგინდა შემდეგი:

სოფელი ხევის სკოლა განთავსებულია მდინარე რიკოთულას მდინარის დინების მიმართულებით მარჯვენა სანაპიროზე, სკოლის ეზო მდინარის მხრიდან შემოღობილი არ არის, თუმცა ეზოს გასწვრის მდინარის მხრეს გაკეთებული აქვს წყალდამცავი ნაგებობა (ბერმა), მდინარის მარჯვენა სანაპიროზე ჩაყრილია მშენებლობის შედეგად წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები. სკოლის შენობის წინა მხარეს გადის ძველი საავტომობილო გზა, ძველი გზის ნიშნულიდან დაახლოებით 3 მ-ის სიმაღლეზე გაყვანილია ახალი მაგისტრალი. მაგისტრალის ხევი-რიკოთის მიმართულებით მარცხენა ფერდი გაშიშვლებულია ხე-მცენარეებისაგან და დაღარულია, ხოლო გზის გასწვრივ აღმართულია ბეტონის კედელი. კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, ყინვების გამო სამუშაოები იყო შეჩერებული და ფერდზე დაგეგმილია გამაგრებითი სამუშაოები, კერძოდ, დატერასება და გამაგრება.

ასევე დადგინდა, რომ ინერტული ნარჩენები ჩაყრილია მდინარე რიკოთულას მშრალ კალაპოტში, გარკვეულ მონაკვეთზე ინერტული ნარჩენებით შევიწროებულია კალაპოტი, თუმცა დათვალიერების დროს მდინარე რიკოთულა არ იყო შეგუბებული და მიედინებოდა ბუნებრივ კალაპოტში, ასევე არ ხდებოდა მდინარის მიერ მიმდებარე ტერიტორიების დატბორვა. ამასთან, მშენებელი კომპანიის განმარტებით, ინერტული ნარჩენის გატანას უზრუნველყოფენ ეტაპობრივად.

ინერტული ნარჩენებით გარემოს დანაგვიანების ფაქტზე, უცხოური საწარმოს ფილიალის "ჩინეთის სახელმწიფო შპს სამშენებლო საინჟინრო კორპორაციის საქართველოს ფილიალი"-ს (ს/კ 426539178) მიმართ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №088655 ოქმი, ნარჩენების მართვის კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად და საქმის მასალები გადაეგზავნა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს.

რაც შეეხება მშრალ ხევში ნაყარების განთავსებას, სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხევი-ჩუმათელეთის გზის მარცხენა ფერდის თავზე ფიქსირდება ხევი, რომელზედაც დაწყებულია F-1 მონაკვეთის მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების სანაყაროს მოწყობა, №2 სანაყაროსთვის შერჩეული ტერიტორია მდებარეობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფ. ხევში, მდ. რიკოთულას მარჯვენა ფერდზე, უშუალოდ უსახელო ხევში. უსახელო ხევის კალაპოტი და ორივე ფერდი სახეცვლილია, არ არის დაფარული მცენარეული საფარით.

ინსპექტირებით დადგინდა, რომ სანაყაროს ფორმირება დაწყებულია, სანაყაროს ძირში მოწყობილია დამცავი ბეტონის ჯებირი, ასევე წყალარინების მიზნით გამყვანი მილი, ხევის ბოლოს ასევე მოწყობილია კიუვეტი გამყვანი არხით, რომლითაც შეკრებილი წყალი გადადის მდინარე რიკოთულაში. სანაყაროზე დაწყებულია სანაყაროს პროექტით გათვალისწინებული, მე- 4 საფეხურის ფორმირება.

საპროექტო მონაცემების მიხედვით, სანაყაროსათვის შერჩეული ტერიტორიის ფართობი შეადგენს 3,6 ჰა-ს. აღნიშნულ ფართობზე რამდენიმე იარუსად გათვალისწინებულია 872 363 $მ^3$ გამონამუშევარი ფუჭი ქანის განთავსება და ოთხიარუსიანი სანაყაროს მოწყობა. თითოეული იარუსის სიმძლავრე განისაზღვრება 15 მ-ით, ხოლო სანაყაროს ჯამური სიმაღლე 60 მ-ით. უსახელო ხევის ფერდობს 30^0 დახრა აქვს, ხოლო ხევის ფერდების (უშუალოდ სანაყაროს განთავსების ადგილი) დახრილობა 50^0-ია.

ამასთან, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობს მინისტრის 2021 წლის 5 აპრილის №2-399 ბრძანებით, საერთაშორისო მნიშვნელობის აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის (E-60) ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის მოდერნიზებისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება.

აღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისად, მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების განთავსება მოხდება შემდეგ სანაყაროებზე: სანაყარო №2 (სოფელი ხევის მიმდებარე ტერიტორია), სანაყარო №7-7ა (მდინარე რიკოთულას ხეობა-მარჯვენა ნაპირზე-მის თბილისი-სენაკი-ლესელიძის მაგიტრალის 146-ე კმ-ის მიმდებარედ), სანაყარო №8 (მდინარე რიკოთულას ხეობაში, მდინარის მარჯვენა ნაპირზე თბილისი-სენაკი-ლესელიძის მაგიტრალის 149-ე კმ-ის მიმდებარედ), სანაყარო №11 (მდინარე რიკოთულას ხეობა, მდინარის მარჯვენა ნაპირზე თბილისი-სენაკი-ლესელიძის მაგიტრალის 150-ე კმ-ის მიმდებარედ) და სანაყარო №13 (მდინარე რიკოთულას ხეობა, მის მარჯვენა ნაპირზე თბილისი-სენაკი-ლესელიძის მაგიტრალის 152 კმ-ს მიმდებარედ).

ამასთან, გაცნობებთ, რომ დეპარტამენტის მიერ, იდენტიფიცირებული იქნა სკოლის ღობეზე, მდინარე რიკუთულას მხრიდან შემოვლებული სადენი, რომელიც სავარაუდოდ გამოიყენებოდა საჭრელი და სხვა აპარატურის ელ. ენერგიით გამართვისათვის, თუმცა სადენი არ იყო მიერთებული ელ. ენერგიის წყაროსთან. დღეს არსებული მდგომარეობით სადენი ჩახსნილია და გატანილია ტერიტორიიდან.

აქვე გაცნობებთ, რომ როგორც საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2024 წლის 17 აპრილის MRDI-RD №2-08/5305 წერილით დგინდება, სოფ. ხევის საშუალოს სკოლის ტერიტორიის გასწვრივ გათვალისწინებულია დამცავი კედლის აღდგენა-რეკონსტრუქცია და სკოლის ტერიტორიის შემოღობვა, რისთვისაც დამუშავებულია პროექტი და სამშენებლო სამუშაოები დაიწყება უახლოეს მომავალში.

პატივისცემით,

ლევან ჯღარკავა
დეპარტამენტის უფროსი